შეთანხმება N1

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ - იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შესახებ“ 2016 წლის 8 ივნისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2 ნოემბერი 2016 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის, ზაზა სოფრომაძის სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სოციალური მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, კობა სონღულაშვილის სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის სახლი (შემდგომში - იუსტიციის სახლი), წარმოდგენელი იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გივი აზაურაშვილის სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი პატარიძის სახის, შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე როგორც - მხარე, 2016 წლის 8 ივნისს დადებული ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 8 ივნისს დადებული ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადების გადაწევის მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით.

2. სააგენტოს ბაზიდან იუსტიციის სახლისათვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს 2016 წლის 17 ოქტომბრიდან.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების ის მუხლები/პუნქტები რომლებსაც ცვლილება არ შეხებია, რჩება უცვლელი.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

კობა სონღულაშვილი
დირექტორის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - იუსტიციის სახლი
ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204580202

გივი აზაურაშვილი
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
აკ. წერეთლის გამზ. №67ა,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202307404;

გიორგი პატარიძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი